იმერეთი

№ 14

ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲔᲯᲘ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 23 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1915 Წ.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია

გაზ. „ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 ან. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., ნახევარი წლით კიდევ ნაწილნაწილათ. სახლვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიუ რათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

მასამართა: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი Შ. Ა. ᲒᲝᲯᲐᲔᲕᲠᲝᲒᲘᲡᲐ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენტების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წერილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

შაბათს, 24 იანვარს, ქალაქის თეატრში ჯადო. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, ქართ. დრამატ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ცნობილი პიესა

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ

დრ. 2 მოქ. თარგ. მაჭავარიანისა.

ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲯᲚ. ᲐᲚᲔᲥ.

ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲧᲝᲒᲑᲝᲡ ᲝᲚᲘᲜᲔᲑᲘ

ერთ მოქმედებ. ვოდევილი ყობოს როლს შესასრულებს ნემო.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲐ

მხიარული ვოდევილი 1 მოქმ. ვალ. გუნიასი.

იოთამის როლს შესასრულებს ვალ შალიკაშვილი.

მონაწილეობს მთელი დასი.

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ. **ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.**

გამგე **ᲕᲘᲙ. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.** რეჟისორი **ᲕᲚ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ.

ᲛᲔᲠᲔᲦᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲠᲣᲨᲘᲜᲒᲐ

დროებით

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜ

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფარალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავთმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავთმეოფობასს კბილებისა ᲓᲐ ᲞᲠᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავთმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი შეშალებით.

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲙᲐᲥᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ **ᲒᲐᲒᲠᲘᲔᲚ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲚ ᲒᲝᲯᲘᲔᲚᲘᲡ** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავთმყოფოთათვის. ავთმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. ᲩᲘᲠᲘᲥᲝᲕᲘ ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავთმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲯᲐᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲝᲑᲘᲗ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲜᲐᲬᲘᲡᲐᲕᲗᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲛᲝᲩᲘᲡ ᲬᲘᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ ᲐᲣ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲫᲘᲡ ᲯᲐᲘᲐᲜᲘᲡ

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში ამა იანვრის, 24 რიცხვს, დღით შაბათს, თერმეტ საათზე.

2—2—15

ᲛᲒᲝᲜᲡᲜᲘ ᲐᲙᲐᲙᲘᲡ.

ნება მომეცი პატარა საგაზეთო მწერალს სალამი მიუძღვნა ცით შობილს, ღვთივ კურთხეულ პოეტს.

შენმა სენმა გული მომიკლა. რად უნდ სტკოდეს იმ ტვინს, რომელსაც ამდენი შემოქმედებითი ენერგია დაუბარჯავს და შერჩენია კიდევ? ფიზიკური ტკივილის მგელრი მას განა ბულბულისებური მღერა უფრო არ შეშვენის?!

რა გაეწყობა! ასეთია ბუნების წესი. პასტერი უკვე 46 წლის იყო, წვეთი რომ დაეცა და ცალი ხელის დამბლა ჰქონდა, უდიდესი მეცნიერული ჭეშმარიტებანი რომ აღმოაჩინა. ღრმა მოხუცებაში ლევ ტოლსტოის ხშირად მისდიოდა გული ტვინის სკლეროზისაგან. მიხაილოვსკი უეცრად გარდაიცვალა ჩვენს დიდ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს გულის უკურნებელი სენი სჭირდა. მაგრამ რა საჭიროა ამგვარი მაგალითები? საკმაოა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ, სულსა და ხორცს შორის სრული პარალელი არ არის და ფიზიოლოგიური მხრით გენიოსის სხეულის აგებულებაც აგრეთვე ნაკლულოვანია, როგორც უბრალო მომაკვდავის.

განსხვავება მხოლოდ სულიერია. ამ მხრით გენიოსის ტვინის ორგანოზაცია თითქმის სრულიად, უნაკლულოა, და, ამიტომ, მისი შემოქმედებითი მუშაობის ნაწარმოები უკვდავია.

არაოდეს არ მოკვდება, მაგალითად, სული, მშობელი ლირიკული ლექსებისა, რომლებშიაც შეერთებულია ბულბულის მღერის წარმტაცი სიტკბოება, ზოთა რუსთაველის ენის სიმდიდრე და სიმარტივე, სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული და მისი დაბეჩავებისაგან გამოწვეული ღრმა მწუხარება. ასეთია შენი პოეზია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს თვით მშვენიერება.

სამშობლოს სიყვარულის მნიშვნელობა შენ და შენმა თანამშრომლებმა შეგვიგენებიეს. თანამედროვე ქართულ ენაზე კი მხოლოდ შენ აგვალაპარაკე. და შენი მდაბიო, მდიდარი და ტკბილი ქართული —საფუძვლად დაედვა ახალ ქართულ ლიტერატურას.

ამაკი, რომელიც შენ ქართველი ერის

ᲓᲦᲔᲗᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲘᲜᲐᲠᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲫᲘᲡ ᲯᲐᲘᲐᲜᲘᲡ

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია ქ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში ამა იანვრის, 24 რიცხვს, დღით შაბათს, თერმეტ საათზე.

2—2—15

დროებით ქუთაისში მყოფი ლეჩხუმის თავად-აზნაურობა გულითადის მწუხარებით აცხადებს, რომ პარასკევს, 23 იანვარს, თავვარნგელაზის ეკლესიაში ნაშუადღევის 3 საათზე გარდახდილ იქნება პანაშვიდი ბრძოლის ველზე გმირულად მოკლული

ᲞᲝᲓᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲢᲐᲠᲐᲡᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ

სულის მოსახსენებლად. 1—1—17

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲕᲐᲖᲘ (rupestris),

მშრალ მიწაზე გაზდილი, იეიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცსელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲝᲗᲮᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ

Მ. Გ. ᲙᲕᲘᲜᲘᲮᲘᲫᲘᲡ.

ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ.

თფილისის ქუჩ. და ობორნის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშვები. თ. 7.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲔᲑᲨᲘ

ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲯᲐᲯᲣ ᲯᲝᲠᲯᲘᲙᲘᲐᲡᲘ.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐ�პ. წ.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Კ. Ი. ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲗᲤᲝᲚ. ᲙᲝᲛᲔᲠᲪ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ.

Კ. Ი. ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ მოიპოვება ყოველგვარი **ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ.** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, სამავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲔᲑᲘ 1915 ᲬᲚᲘᲡ:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲢᲔᲑᲘ** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ᲪᲚᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ Კ. Ი. ᲝᲪᲮᲔᲚᲘᲡᲘᲡ,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

ᲙᲐᲚᲘᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ (ლამაზი და ჩქარი წერის) ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ.

(ᲜᲔᲑᲐᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

ᲕᲣᲡ�წᲝᲠᲔᲑ წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიის, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რინდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაიფშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგ-ეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისთვის.—სამსახურში შესასვლელათ ვასწავლი საკანტორო კორესპონდენციურ ჩქარ-წერას და ვოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა ᲓᲐ შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 კაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრთვე ვკისრულობ

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲓᲘᲚᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲑᲘᲡ

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირობა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოს კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი **ᲘᲕ. ᲛᲘᲮ. ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ.** კაზაკოვის ქუჩა, სახლი 13.

Ა.

წინაშე მიგიძღვის, არავითარი სიზმითა არ გიზმავება და არ დაფსდება. შენისთანა მეგრელები მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში მოეკლინებიან ხოლმე კაცობრიობას.

შენი შემოქმედებითი მუშაობა დღემდის არ შემწყდარა და უკანასკნელი პოემის ქმნის დროს ავდმყოფობამ კალამი ხელში შეგიშვა. დიაღ! შენ დაიკოდე შემოქმედებითი მუშაობის ასპარეზზე, როგორც გმირი მხედარი ბრძოლის ველზე. და ეს ინის უტყუარი ნიშანია, შენი სული რომ დამტრებულა და მუდამ ბორგავს, მუშაობს, ქმნის. მაგრამ, სამწუხაროდ, ხორციელი ჟურნელი მას ვეღარ იტევს, ვეღარ ერევა.

მაშ იცოცხლე კიდევ დიდხან, საქართველოს სიამაყეო! შენი ხორციელი სიცოცხლე კიდევ სჭირდება შენს საყვარელ ერს. კიდევ შეგიძლია მოსწყინდეს მას არა-ერთი ცრემლი. იცოცხლე და მოესწარ იმ დროს, როდესაც შენი შვილები შენგან დაწყებულ გზას დაადგებიან და შენი სამშობლო კვლავ ლაღი და ბედნიერი შეიქნება.

ვასილ წერეთელი.

ᲝᲛᲘ.

პეტროგრ. დეპ. საგენტ.

ᲠᲣᲡᲗᲐ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

პეტროგრადი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი აგან.

მდინარ მხარეზე პატარ-ჰატარა შეტაკებები ჩვენ სასარგებლოთ გრძელდება. 19 ივნვარს ბრეკიშოვის რაიონში, გერმანელების იერიში მოგერეულ იქნა მათთვის დიდი ზარალით.

ძლიერ სასტიკი ომი ხდებოდა გუმინის ქვეყით, სადაც მტერმა უკან დაიხია. პილიცას სამხრეთით ბრძოლა ისევ სწარმოეს, ღონეიზე მტერმა გაძლიერა სარტილერიო ცეცხლი და შეეცადა წინ წამოწევას, მაგრამ ვერ მოახერხა. კარპატებში ბრძოლა გრძელდება. 18-სა და 19 ივნვარს, ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევდა დუკლინის გადასავალიდან ზემო სანამდის, სადაც ჩვენ ვიხელთეთ მოელი ბატარეა, ორი ტყვიის მტყორცნელი და ბრავალი ტყვე. მტრის იერიში უსპოვის რაიონში, მისთვის დიდის დანაკლისით, მოგერეულ იქნა.

დიდი ხნის ხმები, ვითომც გერმანიას დიდძალი ჯარი გადმოეყვანოს კარპატის მთებზე, გამართლდა. 19 ივნვარს ბესკიდთან ჩვენმა ჯარმა მტრის ერთი ბატალიონი მოსპო, და ერთი როტის უფროსი და 20 ჯარის კაცი ტყვეთ წამოიყვანა.

პეტროგრადი. 17 და 18 ივნვარს ხდებოდა ბრძოლა, ლასდენენის რაიონში, ტყეების ხელში ჩაგდებისათვის. ლამით ჩვენ ვიხელთეთ სოფ. კელიშკენი და ტრაკენენი. ამ რაიონებში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ლიპნოს ქვეყით, მტერმა დაიკავა ბრძოლით მაკოვო. მაგრამ ჩვენმა ჯარმა მტერს უკან დაახვია. მტერმა აქ დიდი ზარალი ნახა. ვისლის მარცხენა მხარეზე ამ დღეებში, მტერი ენერგიულათ მოქმედებდა.

17 ივნვარს, ღამის იერიშით ჩვენ მტერი გავრეკეთ თხრილებიდან, რომლებიც წინა დღეთ მათ დაიკავეს. ჩვენ სქ ამოგწყვიტეთ ორ როტამდი ჯარის კაცი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 3 აფიცერი და 60 ჯარისკაცი. ვიხელთეთ რამდენიმე ტყვიის მტყორცნელი. გუმინთან მტერი იერიშებს, იმეორებდა გაძლიერებული სარტილერიო ცეცხლით. ყველა იერიში მათთვის დიდი ზარალით დასრულდა. გამოიკვანა რომ ბორეიშოვის რაიონში მთ 11 ივნვრიდან 17-დი მარტო მოკლული დაუტოვებიათ 6 ათასი ჯარისკაცი. დანარჩენ ფრონტებზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოეს.

პეტროგრადი. აღმოსავლეთ პრუსიაში ჩვენი ჯარი დამკვიდრდა სოფ. გროსენდუნუშეკთან. მდ. ანგერინის მარცხენა ნაპირზე მტრის ცდა, რომ ჩვენთვის წაერთმია ს. ბლინო, უსაყოფოთ დარჩა. ჩვ ნ აქ დავატყვევეთ ბატალიონის კამანდირი, 3 აფიცერი და 100 ჯარისკაცი. ბორეიშოვო-გუმინის რაიონში—მოწინავე რაზმებში მონაწილეობას იღებდა მტრის 14 პოლკზე მეტი. აქ სასტიკი ბრძოლა სწარმოიდა. ხანგრძლივ ხელჩართეულ ბრძოლის შემდეგ, ჩვენ გავარღვიეთ მტრის რაზმი, რომელმაც დიდი ზარალი ნახა. კარპატებში ბრძოლა თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. აქ შეჭნეულია, რომ გერმანელები ჯარებს თანდათან უმატებენ.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.

ბარიზი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, 19 ივნვარს მტერი ენერგიულათ მოქმედებდაო. მათ რამდენჯერმე მოიტანეს იერიშები ჩვენზე, მაგრამ ყველა იერიში ოლათ მოვიგერეთ და მტერმა დიდი ზარალიც ნახა.

ბელგიაში მტერი ენერგიულათ მოქმედებს უფრო იმ პუნქტებში, სადაც ბელგიელებმა მტერს ეხრილები წაართვეს. იპრის რაიონში, იზერთან, ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. ლისიდან სამმამდის, გერმანელების ჯარის ნაწილები დაეცენენ ინგლისელთა პოსტებს. მტერმა ჯერ ხელთ იგდო ეს პოსტები, მაგრამ ინგლისელებმა საჩქაროთ უკან დაიბრუნეს დანაკარგი. ბრძოლა ლაბასესთან ჩვენის გამარჯვებით დასრულდა. აქ ამ პოზიციიდან გერმანელების ერთი ბატალიონის მხოლოდ უბნეზეველო ნაწილი დაბრუნდა თავის თხრილებში, დანარჩენები კი ზოგი ამოვოცეთ და ზოგიც ტყვეთ წამოვიყვანეთ.

ბონამეზონთან, ნოინის სადგურს, სადაც მტერი სურსათს ღებულობდა, ჩვენმა არტილერიამ დაუშინა და სადგური საჩქაროთ აფეთქა. პერტში ჩვენ წინ მივეწევთ, ლოტარინგიაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲗᲐᲗ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲐᲒᲐᲜ.

კოპენჰაგენი 20 ივნვარი. გერმანიის საზღვაო შტაბის უფროსი იუწყება ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში, რომ ინგლისი ამირებს საფარგეთში დიდძალი ჯარის გადმოყვანას, მაგრამ, უნდა იცოდენ, რომ ყოველნაირი საშუალება დ ღონის ძიება იქნება გერმანიის მხრივ მიღებული, რომ ეს არ მოხდესო.

ლონდონი. „კორსპ. ბიურო“ იუწყება, რომ კრუპის ქარხნები იჩენენ არაჩვეულებრივ მოქმედებას. გერმანელებმა დაარწმუნეს აუარბელი შვეიცარიელ მუშები, რომ ესსენს გამგზავრებულიყვენ. მთავრობა ღიღებს ყოველნაირ საშუალებას, რომ გლეტები უბრუნვეიყოს ყოველნაირი სამუშაო იარაღებისგან, რათა ამით მოსავალი გაძლიერესო.

რომი. იტალიის მთელი პრესა და საზოგადოება უფრო ახლა, ვიდრე ოდესმე დარწმუნებულია, რომ თუ იტალია დაიკავებს ნეიტრალიტეტს, გერმანიისა და ავსტრიის გამარჯვების შემდეგ, მათ დაპირებებს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. პირიქით, თუ გერმანელების სახელ[illegible] [illegible]ჯვეს, იტალია მათ[illegible] ომის გამოცხადებას უნდა მოელოდესო.

ლონდონი. ამბრედამის ერთი გაზეთის ცნობით, ვორეტის და ტოსსენლერ-ლოსსის სამხრეთით იმყოფება ბანაკი, სადაც დამწყვდეულია 4 ათასი შეუთანადებელი გერმანული ჯარისკაცი, რომლებმაც უარი სჯვეს ბრძოლაზე. ბანაკს ალყა ერტყმია ინგლისელ ჯარებს. ინგლისელ ჯარებს ბანაკი ალყაში ეჭირა. ინგლისელ ჯარებს ბანაკი ალყაში ეჭირა. ინგლისელ ჯარებს ბანაკ ალყაში ეჭირა. ინგლისელ ჯარ[illegible]

ᲗᲔᲛᲘᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲕᲘ.

ლონდონი. სხდომის გახსნისას მთავრობამ შეეკითხა მისკეს, სანოვაგეზე ფასების მოწესრიგების შესახებ. ასკვიტმა უპასუხა, რომ ამას უკვე შეუდგა განსაკუთრებული კომიტეტი. ბონარლოუმ დაამოწმა, რომ მთავრობა თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს მხოლოდ ნაციონალური და არა პარტიული მოსაზრებით, რომ ამით კარგად დასრულდეს უდიდესი ნაციონალური საქმეო. ასკვიტმა მადლობა გადაუხადა ყველა ლიდერებს.

ბუქარესტი. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის მდგომარეობა საშინელ უიმედობას წარმოადგენს. ძლიერ საგრძნობია სამხედრო სურსათის უქონლობა, რომელიც იწვევს ოსმალეთში ყოველდღიურათ ეჭვს გამარჯვებაში. გერმანელ აფიცრების უდიერი მოქცეა ოსმალთადმი, ხომ ხშირ შეტაკებას იწვევს. ოსმალეთის ყოფილმა სულთანმა ამდენ-გამიდმა, რომელიც მეჩიდრო კავშირში იყო გერმანელებთან და, რომელსაც მიმართეს ზოგიერთმა ახალგაზდა ოსმალებმა რჩევისთვის, როგორ მოიქცნენ ასეთ მდგომარეობაში, ურჩია, რომ ოსმალეთმა თვითონ უნდა ითხოვოს ზავი, ვიდრე ამას ძალით მოახდენინებდენ მოკავშირენიო.

ლონდონი. 20 ივნვარი. საღამოთი განაცხადა პარლამენტის სხდომა. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ვონსლეპორსში, წყნარ ოკეანეს რეინის გზაზე აფეთქდა დინამიტი. იმავე ადგილას დაპატიჟრეს ერთი კაცი. ფიქრობენ, რომ ეს ბოროტ განზრახვა იყო ბიმართული სამხედრო მატერიების წინააღმდეგ, რომელსაც იქ უნდა გამოეკვლია.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛᲘ.

ბერლინიდან ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ იმპერატორი ვილჰელმი 21 ივნვარს, ვილგელმსგაფენის დასათვალიერებლათ მიდისო.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ბარკმა ინახულა მართველობის წევრები და ქონდა საუბარი ვივიანთან, რიბოსთან, დელკასესთან და ეკჩ იზვოლსკისთან.

ლოიდ-ჯორჯი საღამოს მოვიდა.

„ჟურნალ დე-ფ�ა“ ამბობს, ბარკი ისარგებლებს თავის საქმის ცოდნითა და თავის საფარანგეთისა და ინგლისის [illegible] გებს დახმარებას გაუწევენო.“

— —

გაზეთები ბარკის [illegible] ლოიდ-ჯორ[illegible] მოსვლას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ, ამბობენ, მინისტრების კრების შემ[illegible] ბეგრს ახალ რასმე გავიგებთო.

— —

ვარშავა. ქალაქის თავზე გამოჩნდა გერმანიის ჰაეროპლანი „ტაუბ“-ს ტიპისა, რომელიც ჩვენმა ჯარისაკაცებმა ტყვეთ დაატრიალეთ ძირს ჩამოაგდეს.

— —

გაზეთ „კორიერე დიტალიას“ ვენიდან ატყობინებენ, რომ ავსტრიელების ახალი სტრატეგიული გეგმა იმაში გამოიხატება, რომ წინათ სერბიის საწინააღმდეგოდ დანიშნულმა ჯარმა, კარპატების გზით, ჯერ პერეშლ უნდა გაანთავისუფლოს და [illegible] მერე ლვოვი.

— —

ბუქარესტის მთავრობამ დეპარტამენტების წინადადება მისცა ორი კვირის განმავლობაში ბიუჯეტი შეიდგინონ. 1916 და 1917 წლ.

ახალგაზდათა ჯარში გაწვევის დასაჩქარებლათ, სატახტო ქალაქი პატარა უბნებათაა დანაწილებული, რომლის მეთვალყურეობაც გამოცდილ მოხელეებს აქვ[illegible] მინდობილი.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ.

ირკვევა, რუმინიაში ავსტრიელების დაპატიჟრების დაწერილებითი ამბავი, რომლებსაც ჯოჯოხეთის მანქანები აღმოაჩნდათ. ბერჩროვის გზით ავსტრიიდან რუმინიაში ოთხი მგზავრი მოვიდა, რომელთაც რუმინიის გზით ბულგარეთში ტრანზიტის სახით ოთხი ჩანთის გაგზავნა განიზრახეს. გადასასვლელ სადგურზე ეს მგზავრები სპარგო ვაგონთან მიდიოდენ დ[illegible] ყველას ურჩევდენ ჩანთებს სიფრთხილით მოკიდებოდენ. კალიფატის სადგურზე ამ მგზავრებმა ეკვი აიღეთინეს ერთს მოხელეს, რომელმაც ჩანთების გასინჯვა მოინდომა. მგზავრებმა განაცხადეს, რომ ჩანთებში—პარფიუმერიაო, პარფიუმერიის გარდა ჯოჯოხეთის მანქანებიც აღმოჩნდა ჩანთებში. ყველანი დააპატიმრეს ერთი მათგანი—უნგრეთის არტილერიის აფიცერია, მეორე—ინჟინერ ელექტრონიკი, მესამე—მეზღვაური. შემოწმებულია, რომ დაპატიმრებულნი დუნაისკენ მიემზგავრებოდენ, რომლებსაც სერბიის ორთქლმავლები უნდა აფეთქებინათ. ესენი ბუქარესტს გაგზავნეს.

— —

ბერუთიდან იტყობინებიან, რომ ლ[illegible] ვანის ავტონომია გაუქმებულიაო. ოსმ[illegible]

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲥᲐᲘᲡᲗᲐᲜ.

(ნასწავლი და ნაგრძნობი)

შემდეგი, იხილეთ „იმერეთი“ № 12.

II

ᲨᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲭᲘᲗᲝᲣᲠᲐᲛᲓᲔ.

შორაპანში ბათომის ბატარებლიდან პატარა—ჭიათურის ბატარებელზე გადავსხედით.

შორაპნიდან სახჩერემდე ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა გაეკანილი და ორთქმავალ—ვაგონებიც შესაფერი ზომისაა.

გეგონებოდათ სასახლიდან ქოხში შევედიო,—ისეთი პაწია და მოუწყობელი მეჩენენ ეს ბატარებელი სამგიეროთ, შავი და ტურტლინინმდ. ყვირილა მამცნობდა, რომ ჩვენ უნდა შევსდგომოდით ჭიათურის გზას, იმ ჭიათურისას, სადაც ასი და ათასი მუშა დღე და ღამ ოფლში სცურავს, სახსრის მოა-გორათა წიაღს, ეზიდება შავ-ქვას, სდგამს ზვინებთ და ამზადებს აუარებელ სიმდიდრეს,

ვინ არის ეს სხვა?

ფულისა და მოხერხების პატრონი, ძალისა და გავლენის მქონებელი!

სადან და როგორ გაჩნდა ასეთი უსწორმასწორობა, რომ მე უნდა ვიმუშაო, დღე და ღამე ვასწორო, ძალა-უნებურათ ვიმსახურო, ათასგვარი დამცირება გამოვიარო, ვალებში ვიარჩო და შენ კი უნდა ინებივრო, ფეფუნო, იბატონო და თან გიჟი და უნამუსოც დამიძახო?!.

ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქვეყნათ ბეგარი უსამართლობა არსებობს და თითოეულის ჩვენთაგანს მოვალეობა შეძლებისადაგვართან ვებრძოლოთ ამ უსამართლობას და ისე მოვაწყოთ ცხოვრება, რომ შენც ბედნიერი იყო და მეც.

— ბედნიერება სულის სიმშვიდეაო! სთქვა ვიღაც მეცნიერმა.

— როდის მიიღწევს კაცი ამ სულის სიმშვიდეს?

— არასოდესო! უპასუხებს მეორე მეცნიერი.

— მაშ, რისთვის სცხოვრობს დაჩაგრული ადამიანი?

— იმისთვის, რომ ოცნებაში დალიოს დღენი თავის წუთისოფლისა და ისე ჩაკვდეს, რომ ერთხელაც ვერ შესდგეს ტრფობის მთაზე?..

— ღირს კი ამისთვის სიცოცხლე?—დავეკითხე ჩემ თავს და ვიდრე გადაეჭრა პასუხს ვიპოვნიდი, მატარებელი შეირხა, შეტორტმანდა და შტეკენა—ღრიტინით გაუდგა ჭიათურის გზას.

გავიარეთ გამქვარტლული ბაქანები, გავცდინ შავი ქვის გასარეცხი თუ და სარკვეე კოშკ-მანქანებს, გვერდით აუარეთ კუპრათ ქცეულ მდ. ყვირილას და შევედეთ ვიწრო ხეობაში...

წარვის დრო იყო. ცხრა თვალა მზე გრძნობა მორეკვით დაჰყურებდა მიდამოს. შემოქმედს უხვის ხელით მიმფენტულ მთა გორაკებს ოშხივარი ასდიოდათ. აქა იქ—ყუდროებში,—ხე-ტყე დაკვირტულიყო და აყვავილებას აპირობდა. მათ ძირში მორცხვათ გაშლილიყვენ ია-ზიზილები. ნაზი, ხავერდოვანი და სიცოცხლით სავსე მთის ყვავილები უმანკო ბავშის ეუფეფნა თვალები გეგონებოდათ. სითბოს ალი ჰადგა სული ჩაედგა ბუნებისათვის და მთიდან დაქანეკილი ჩანჩქერები მიურეგებულ ხეებში მხიარულად მოიმღეროდენ. ერთ ადგილს ისეთი მშვენიერი ისეთი კამკამა წყარო გადმოჩუჩუხობდა, რომ მოშენატარა მთელი დღეები დავრჩენილიყავ მის გვერდით და ყური დამეგდო იმის დაუსრულებელი ლიკლიკ-სათვის!

ნეტავ, რას ტრიბნებდა ეს წყარო? [illegible]

ცრემლი იყო იგი შავის მთისა, თუ შიკრიკი გაღვიძებელის ბუნებისა?..

ამ წყაროს დაჩახვალს, წყალი მომწყურდა. . მომწყურდა სიცოცხლეც და წყლიანდელი ჩემი შავი ფიქრები სადღაც გაჰქრნ...

სისულელეა—მეთქი სასოწარკვეთილება, სულ-მოკლეობა! ვიდრე კაცს პირში სული უდგია, იგი უნდა შეეხაროდეს ბუნებას, დაუახლოვდეს მის წიაღს, ამოიიღოს ენა ბულბულისა, ჩაიდგას სული უკვდავებისა და გაბდეს ტრფიალად სიყვარულისა, ძმობა—ერობისა, თავისუფლებისა!..

მაშ, გაუარეს სიცოცხლეს, სიცოცხლეს ადამიანურს, სიცოცხლეს თავისუფალს! . .

— თქვენი ბიღეთი!... გამომარკვია ოცნებიდან კონდუქტორმა.

ზეცადან მოწყვა დავეცი და ვიდრე ჯიბეებს მოვიჩხრეკავდი და ბილეთს ვიპოვნიდი, აღტაცება ჩვეულებრივ ფიქრთა დენათ შემეცვალა.

— სწორეთ ძალა წიაღეს ამ ოჯახ ქორებმა!... ბილეთი და ბილეთი!.. ერთხელ ხომ ნახეს, რომ ბილეთი გვაქვს. ბატები, ან ინდოურები ხომ არ არიან, რომ სადგურიდან სადგურამდე მეხსიერება ალარა ჰყოფნთ!—წარმ-შეკვრით სთქვა ერთმა მგზავრთაგანმა და მწარეთ გაეცინა. ამ სიცილით მან ნთლიად დაბატა ყველი ის უწეს რიგობა და ფორმალიზმი, რომელიც ასე აწვრილმანებს, აკნინებს, აუფერულებს და ამწარებს ჩვენ ყოველ დღიურ ცხოვრებას...

ამ მგზავრს მეორე გამოელაპარაკა, მეორეს მე ამე, მერე მეც ჩვენიც ბაასში და მალე მთელი ვაგონი ერთმანეთს გაეცანით. მგზავრობაში გაცნობა და და ახლოვებაც ადვილი საქმეა.

ჩემ თანამგზავრთა შორის აღმოჩნდა აკაკის რძალიც—აკაკის ძმის დავითის ქნ მ....ს გაცნობამ ძლიერ გამახარა, რადგანაც საჩხერეში პირველად მივდიოდი და ალმითქვა: „მე თითონვე მიგიყვან აკაკისთანაო“.

მცირეოდენი შენიშვნების შემდეგ შეესახენ რკინის გზაზე ეარსებულ უწესოებათა და დღეკანდელ ომისა, სიტყვა აკაკის შესახებ ჩამოვარდა. ყველანი ძალიან შეშფოთებულნი ვიყავით აკაკის ავთმყოფობისა გამო, მაგრამ თან თავს ვინუგეშებდით, რადგანაც ქმა მ... აკაკის უკეთობის ამბავი გადგმოგვეცა.

აკაკის ხსენება ისე არ შეიძლება, რომ მასთან ერთად საქართველოც არ ახსენონ, და ჩვენც მთელი გზა საქართველოს ჭირ-ვარამსა და აკაკის ღვაწლზე ვლაპარაკობდით, ვინაიდან აკაკი გულია ჩვენის ქვეყნისა და ოცნებაა მრავალ-ტანჯულის საამბოხოისა!

ამიტომაც არის, რომ დღეს თითოეულ შეგნებულ ქართველს გული სტკივა აკაკის ავთმყოფობის გამო და ტკბილი ოცნება ეშხამება, ამიტომაც არის რომ ვისაც კი გარემოება ხელს უწყობს, საჩხერისაკენ მიეშურება, რომ მოამაგე მარჯვენაზე ეამბოროს იმას, ვინც ორმოც-სამოცის წლის განმავლობაში აღღერებდა ჩანგურს ჩვენ გამოსაფიზელად და მღეროდა წმინდა საგალობლებს სამშობლოს საკურთხეველზე!...

წყეული და ბოროტი უნდა იყოს ის ქართველი, ვინც ამისთანა დროს ლმობიერების ცრემლს არ დაღვრის და მხურვალე ლოცვას არ აღავლენს **თავის ღვთის** წინაშე მგოსან აკაკისთვის.

აკაკი და საქართველო, საქართველო და აკაკი! აი, სადღეისო საფიქრელი და საბრძანავი ორი წმინდათა წმინდა!

„ხატია ჩემი სამშობლო, ხახატე მთელი ქვეყანაო!

ტყეელთა როდი გვიაღდგებდა მგოსანი! და, მართლაც ვისაც **ხატი** არ აქვს, იმას **ხახატეც** არ ექნება და მატ[illegible] ყუარაა ის, ვინც „ხატს“ აბუჩად იგდებ[illegible] და „ხახატს“-კი დაეძებს...

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ [illegible] ერთ-ერთ ბანაკ ჰეშმარიტება და მალეც დ[illegible] გება ისეთი ბედნიერი დღე, რომ ამ საკითხის გამო ატეხილი აურ[illegible] ური და განხეთქილება სარეცხელის [illegible] წითლეს მოჰგვრის იმათ, ვინც დღეგ[illegible] დლამდე თავ-ეზას უნნეედა სიცოცხ[illegible] სავსე, მაგრამ „გარემოებათა გამო სხ[illegible] და სხვათა“, გაოგნებულ ქართველობა[illegible] როცა ქართვ[illegible] ხალხი მშობლიურ ნიადაგზე შესდ[illegible] ტანჯული სხეული მისი კვლავ ჩაიდ[illegible] განწმენდილ სულს და მაშინ, იმ ბედ[illegible] დღეს ძმა ძმას კი ალარ შესჭამს, შ[illegible] მამას კი ალარ მოჰკლავს, შენ-ჩემ[illegible] და „ჩემი სჯობსო“ კი ალარ გაადმერთ[illegible] არამედ ქუდს დასდებს და სამართალს [illegible] გადასჭრის!..

— მაშ, სალამი და დღეგრძელობა [illegible] თვალურ სულის ჩამდგმელებს! მაშ, [illegible] ლამი და გამარჯვება სამართლიანო[illegible] და ძმობა-ერთობის მოადგდებელთა-მ[illegible] გავიფიქრე, როცა მოგისმენე საღ[illegible] გულმართალი მსჯელობა ჩემის თანამ[illegible] რებისა.

უკვე ნაშუადღევის პირველი საათი [illegible] მატარებელი ჭიათურის სადგურს მ[illegible] ლოდა, სიარულს უკლო, დაღაღ[illegible] ხარივით რამდენჯერმე ამოიქმინა დ[illegible] ვათ გამურულ სადგურის ფარდეულ[illegible] გაჩერდა...

(შემდეგი იქნება).

ია-ეკალ[illegible]

ლებმა საფრანგეთის დაწესებულებები მეჩეთებად გარდაქმიეს. ოსმალებსა და არაბებს შორის დიდი სისხლის ღვარა სწარმოებს.

— —

გაზეთ „კორიერე დ-ტალიას“ კონსტანტინოპოლიდან ატყობინებენ, რომ კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარის დამარცხებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ენვერ-ფაშის წინააღმდეგ. ენვერ-ფაშის ბრალ გამო ჩამოყენება მოელის. გერმანიასთან კავშირს აქ თანდათან ნიადაგი ეცლებაო.

იტალიის მოსალოდნელი გამოსვლა.

გაზეთ „პოპოლო იტალია“-მ გამოაქვეყნა წერილი, რომელმაც მთელი ხალხის ყურადღება მიიპყრო. წერილში ნათქვამია:

„ყოველგვარი უთანხმოება იტალიაში დასრულდა. ჩვენი გამოსვლა გადაწყვეტილია, ყველფერი მზად არის. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში თუარა, ამაზე გვიან მაინც გამოვალთ. გვეყო ის რაც აქამდის ავიტანეთ ომის გამო, როგორც უბრალო მაყურებლებმა. ჩვენ გვყავს 1,500,000 ჯარის კაცი პირველ რიგისა. რუმინიაც 500,000 ჯარის კაცს გამოიყვანს. ავსტრიის წინააღმდეგ 2 მილიონი ჯარი იქნება. ეს ჯარი გერმანის წინააღმდეგაც გაილაშქრებს, თუ საჭირო იქნება. რომში ახლა ყველა ერთი აზრით არის გამსჭვალული.

თვით მეფე ომის მხარს იჭერს; მინისტრები სალანდრა, სონნინო და მარტინი დარწმუნებული არიან ომის გამოცხადების საჭიროებაში. ყველფერი მზათ არის.

ამ წერილმა დიდი სენსაცია გამოიწვია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ცენზურამ გაუშვა, არამედ იმიტომ, რომ იგი ოფიციალური ცნობით დასაბუთებულ იქნა.

ეენერალ საგოვის აზრი რუმინიისა და ბულგარეთის შესახებ.

ვენის ოფიციოზ „რეიხსპორტმა“ დაბეჭდა ინტერვიუ ბულგარეთის სამხედრო მინისტრ სავოვთან. გენერალი საგოვი შეეხო ნეიტრალურ სახელმწიფოებს და სთქვა: „ვეჭვობ, რომ რუმინია გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ წავიდესო. რუმინიის სტრატეგიული მხარე არ არის ისეთი უმიზეზო, როგორც ბეერი სთვლის. რუმინიამ რომ გერმანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ გაილაშქროს, მაშინ ისინი ეცდებიან გამაგრონ დუნაის ხაზი, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც კრაკოვსა და პერემიშლეს. ამგვარათ რუმინია გახდება სთამარ ბაზათ და ისეთივე დღე მოელის როგორც, გალიციასა და პოლონეთს. რუმინიის მთავარსარდლებმა კარგათ იციან ეს და არ ჩაიდენენ იმას, რასაც მთელი რუმინიის განადგურება მოყვებაო. მიუხედავათ მანიფესტაციებისა, სრული დარწმუნებული ვარ, რომ რუმინია საერთაშორისო ომში არ ჩაერევა. რაც შეეხება ბულგარეთს იგი დაიკავებს ნეიტრალიტეტს, ვიდრე ეს შეესძლებელი იქნება, მაგრამ, თუ რუმინიამ არ გაასწორა ბუქარესტის ტრატატის შეცდომები, იძულებული ვიქნებით დავიცვათ ჩვენი უფლებები იარაღის საშუალებით. ბულგარეთის არმია მზათ არის თავისი მოვალეობა ბოლამდის შეასრულოსო“.

ეგვიპტესა და პალესტინაში.

ითვალისწინებენ რა ელკანტარისთან შეტაკებას, გაზეთები ორ რამეს სთვლიან შესაძლებლათ: პირველი,—რომ ამ შეტაკებას ახლო მომავალში გადამწყვეტი ბრძოლა მოჰყვება და მეორე,—რომ ოსმალობი თავს დაიბენებენ რა შეეჩალს, მთელი არხის სიგრძე-სიგანეზე ერთ ნაწილ-ნაწილათ თავის რაზმა, რომელსაც მიზნათ ექნება ინგლისელები ნახეგარი წლით მაინც შეაფერხონ, რაც საჭირო იქნება სილა ელ-არიშის-ელ კანტარას რკინის გზის გასაყვანათ და ამით საშუალება მიეცესო ოსმალეთის ჯარის მომზადებისა. პირველი განზრახვა უფრო სარწმუნოთ უნდა ჩაითვალოს.

მეოთხე არმიის შტაბი იერუსალიმში აცხადებს, რომ მთავრობას სურს სიონიზმის შესახებ განცალკევებული მუშაობა შეწყვეტოს, რომელიც პოლესტინისგან ებრაელების სახელმწიფოს შექმნისკენ არის მიმართული. აღარძალული სიონისტური საფოსტო მარკების ხმარება და სხვა. ყველა სიონისტური ორგანიზაცია იხურება.

პალესტინიდან გამოქცეულებმა, რომლებიც ალექსანდრიაში იმყოფებიან, პრეზიდენტ ვილსონს მიმართეს და აცნობებს პალესტინაში რაც ხდება.

ეს მიმართვა შემდეგი სიტყვებით თავდება: „ჩვენ გთხოვთ არა საკუთარი სიცოცხლისა, ქონებისა და ჩვენი ქალების ღირსების დასაცავათ,—ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ დასახლების განსახორციელებლათ ვმუშაობდით. ჩვენი ახალშენები—ეს არის ადგილი ჩვენი ხალხის აღორძინებისა, რომელიც უსამართლოთ გატანჯული იყო ოცი საუკუნის განმავლობაში. ჩვენი სკოლები ანახლებენ ბიბლიის ენას, რომელიც ჩვენი ახალგაზდობისთვის სამშობლო ენათ გადაიქცა. იმ მიწა-წყლის გულისთვის, სადაც ჩვენი წინაპრები სიმართლისთვის იბრძოდნენ, იმ წმიდა სამლოთ ანდერძის გულისთვის, რომელიც უნდა განეზორციელებინათ, ჩვენ გემუდარებით თქვენ და ყოველის შემძლე ამერიკის ერს, ებრაელების ახალშენები დაიხსნათ პალესტინაში ვიველ განსაცდელისაგან“. (უ.)

ისხან-ფაშა.

„რუსსკოე სლოვო“-ში არის მოყვანილი დაწერილებითი ამბავი ისხან-ფაშის დატყვევების შესახებ. როგორც ვიცით, ისხან-ფაშა დაატყვევა კავკასიის ერთი პოლკის უფროსმა.

ისხან-ფაშის დატყვევებამდი ეს ახალგაზდა წარმოსადგენ ქართველი კაპიტანი, ექვსი კაცით, წავიდა ოსმალოთა ჯარის დასაზვერავათ ჩემურ-ლი დგას მაღლობისაკენ. რბილ თოვლზე ოსმალოთა დარაჯების ახლოს შეუმჩნეველათ გაიარეს. რამდენჯერმე ოსმალოთა დარაჯებმა დაუძახეს მათ, მაგრამ რადგანაც პასუხი ვერ მიიღეს ერთი გაილანძღენ „კეპიოღლი“ (ძაღლისშვილი) და გაჩუმდნენ. ისინი ავიდენ მაღლობზე. კაპიტან ვ-ძის თვალ-წინ გადაიშალა ცეცხლით აფორიაქებული სივრცე, მაგრამ მას ძალიან გაუკვირდა ოსმალოთა ასეთი დაუდეგრობა, არც დარაჯები იყო და არც სადარაჯო პოსტები. მეორე დღეს კაპიტანმა უბრძანა მთელ როტას გაშლა და წავიდა ისევ იმ მაღლობისაკენ. მათ წინ გადაეღობა ტყეის მფრქვეველთა რაზმი. ჩვენებმა მაშინვე იერიში მიიტანეს მათზე და სუყველა ამოსწყვიტეს. მალე როტამ ტყის თავი დაიდწია და გაშლილ ადგილზე ჩაჩუმებულ ბატარეის ახლოს კაპიტან ვ ძემ დაინახა მთელი ღენერალის ჯგუფი 5 ვინმა ჯარის კაცებმა წინ წაიწიეს, ამ დროს კაპიტან ვ-ძის ხმა გაისმა „დგენუნდენთ, თორემ ყველას ამოგხოცავთ“. ოფიცერთა ჯგუფიდან გამოვიდა ერთი ადიუტანტი და დამტვრეული რუსულით სთქვა:

„კარგია, ბატონო ოფიცერო, საჭირო არ არის, ყველაფერი გათავებულია. კორპუსის უფროსი თხოულობს, რომ მეტი სისხლი დაიღვაროსო. ასკერებმა იარაღი დაყარეს. ღენერალს ვ-ძემ იარაღი არ ჩამოართვა მხოლოდ წინადადება მისცა ცხენებზე შემსხდარიყენენ და გაყოლოდენ მას. ვ-ძე მიჰყვებოდა მათ ფეხით. შერიფ-ბეიმ თვისი მარქაფა ცხენი ძრაცა მას. მათ გზაში შემოუერთდენ იმავე მაღლობზე მიმავალი, მაგრამ დაგვიანებული ბლასტენები. დატყვევების დროს ისხან-ფაშამ კითხა ვ-ძეს რა ძალებით გვატყვევებთო? ვ-ძემ უჩვენა მარცხნივ და მარჯვნივ და უთხრა, „აქ დგიეზიაა, იქ პოლკი და იქით კიდეც ორი ბატალიონი“-ო ისხან ფაშამ ხელი ჩაიქნია და თავი ჩაჰკიდა. როდესაც სარაყამიშში მას უთხრეს სულ ერთი როტა იყოო, ბრაზმორეულმა მაგიდაზე ხელი დაჰკრა და წამოიძახ: „შეითან-კაპიტან, შეითან-კაპიტან“. (ბ. რ.)

ახალი ამბავი.

✦ შაბათს, 24 იანვარს, ვლ. ალექსიმეჩხეშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი ი ექნება: I. „ავათმყოფი ხალხი“—ჰერგარტ გაუპტმანისა; II. „დედის ერთა“ და III. „ყოფის ოინები“ მ. ნემოს მონაწილეობით.

✦ დ. ჭიათურიდან წასული 1914 წლის განმავლობაში სულ გაუზიდავთ 43 652.902 ფავი ქვა.

✦ ჯარში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახების დამმარე საგუბერნიო კომიტეტის თავჯდომარემ—ბ. პოტულოვმა ქუთაისის ქალაქის კომიტეტის თავჯდომარეს—ჩიქოვთან გამოუგზავნა ომის გამო გამოქცეულ მცხოვრებლების დამხმარე კომიტეტის მოხსენების ერთი „ბროშურა“. მოხსენება დამტკიცებულია სრულიად კავკასიის კომიტეტის მიერ და აღნიშნულია, თუ როგორ უნდა დაეხმაროს გამოქცეულებს სხვადასხვა კომიტეტი.

✦ გუშინ სოლოქო სასამართლოს დარბაზში დანიშნული იყო გაზ. „აზრის“ რედაქტორის საქმე.

✦ ყვავილი ქალაქის საავადმყოფოშიც განნდა. ჯერჯერობით ეს სახადი დაემართა საავთმყოფოს ორ მოსამსახურეს. საავადმყოფოში ყვავილით სულ ათი კაცია ავათ. 2 კიდეც იმსხვერპლა. როგორც საავადმყოფოს ექიმი იტყობინება ამ ჟამათ ქუთაისში ასაკერი წამალი არ იშოვება.

✦ ყვირას, 25 იანვარს, დ. ჭიათურაში გაიმართება ლექციების კითხვა. ს. ქავთარაძე წაიკითხავს „ეხლანდელი ომის ნამდვილი მიზეზები“ და ვ. ჯუღელი „ომი და მშვიდობიანი ცხოვრანი.“

✦ ქუთაისში ამ ჟამათ შაქრის სიძვირეა. ზოგი ვაჭრები კიდეც მალავენ. დ. ქებაძეს ბათომის კანცელატისაგან ნება აღელა, რომ იქიდან მოიყვიდეს 500 ფუთი შაქარი, რომელსაც ამ დღეებში მიიღებს.

✦ მსაჯიმ ვასო ურუშაძეს ბ. გუბერნატორმა ნება დართო გამართოს ლექციების კითხვა პროვინციის სხვა-და-სხვა ქალაქსა და დაბებში შემდეგ თემაზე: „ევროპის ომი და მისი მნიშვნელობა“. ლექტორებათ მოწვეული ყავს ეურნალისტები ვ. ჯუღელი და ს. ქავთარაძე. პირველი ლექციაი გაიმართება დ. ყვირილაში.

✦ ამ დღეებში, ქალაქის თეატრში, ცნობილი ლექტორი გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს ლექციას: „შინშიაშვილი და მისი პოეზია“ და მისი უკანასკნელი დრამატიული პოემა „ქალი გრძნეული“.

✦ ქუთაისის დასი წელს სეზონს დაასრულებს შაბათს, 31 იანვარს.

✦ გ. არადელ-ბშნელის ბენეფისი შესდგება ოთხშაბათს, 28 იანვარს. წარმოდგენილი იქნება „ჯადოსანი“.

✦ როგორც გავიგეთ, თფილისის ქარ. დასი განაგრძობს დიდ მარხეაში სეზონს.

✦ შაბათს, 24 იანვარს, საზოგადო საკრებულოს სახლმთრო დარბაზში გაიმართება მასკარადი ერთი პრიზით. შემოსავლის 25% გადადებულ იქნება ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ.

✦ ეს სამი დღეა ქუთაისში ცუდი ამინდები დადგა. წვიმების გამო კიდეც აცივდა.

✦ ამას წინათ ქალაქის თვითმართველობამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ბაღის ქუჩაზე, სახაზინო ადგილზე გზა გეფუვანათ, ბაღის ქუჩიდან გაბაშვილის გორამდი, მაგრამ ქალაქის გამგეობას ამაზე უარი უთხრეს, რადგანაც ეს ადგილი დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის მომავალი საბერეშეო სადგურის ასაგებათ.

✦ წასული წლის ოკტომბრის თვის დამლევიდან ქუთაისში გადმოხიზნულია დ. ოჩიმჩირის საერთიერთო ნდობის ბანკი. ეს ბანკი როგორც გავიგეთ, ოჩიმჩირეში ამ დღეებში დაბრუნდება.

✦ დ. ბაღდადის მეოთხე გასაჭვეე უბანში ახალ გზაგადათ გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ გუშინ, 22 იანვარს დასრულდა.

✦ ამჟამათ ქუთაისში სანოვაგე შემდეგ ფასებში იყიდება: სიმინდის ფქვილი ფუთი 6 აბ., სიმიდი 1 მ. ყველი ჩარქენი 11 შ. ხახვი 80 კ. კარტოფილი 90 კაპ. კვერცხი 11 ცალი 1 აბაზი. ღომი ფუთი 13 აბაზი და სხვა.

✦ დღეს ქალაქის თეატრში ფოთის ქალთა გიმნაზიის სასარგებლოთ წარმოადგენენ ოსტროვსკის 5 მოქმედებიან კომედიას „ბელუბინის ქორწინება“-ს.

✦ ქუთაისის მეპურეებმა, ქალაქის გამგეობაში შუამდგომლობა აღძრეს, რომ გამომცხვარ პურზე ფასი მოუმატონ.

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას განზრახვა აქვს, პირველი თებერვლიდან, ქალაქის თეატრში, მოაწყოს სახალხო წარმოდგენები თავის სახსრის გასაძლიერებლათ.

✦ ქუთაისის ბაზარი ამ ჟამათ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. საჭიროა ქალაქის სანიტრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ.

✦ მწვანე-ყვავილის ახლად აშენებულ ამაღლების ეკლესიაში წირვა-ლოცვა უკვე წარმოუბს.

✦ როგორც საფიზიციდან გვატყობიებენ, იქაური მცხოვრებლები ღამ-დამამთენ უფარნობის გამო ძლიერ შევიწროებული არიან. ძლიეს რამდენიმე ფარანი მოგვეფოვება და იმასაც არ ანთებენო. საჭიროა, ამ გარემოებას, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიექცეს.

✦ როგორც ს. გელათიდან გვატყობიებენ, გლეხები მდ. წყალწითელაზე უხიდობის გამო, ძლიერ შეწუხებულნი არიან. აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც ხიდი წყალმა წაიღო და ჯერ კიდეც არ გაუკეთებიათ, ამ ხიდის გასაკეთებლათ, შემოდგომაზე, იმერეთის ეფისკოპოსმა გიორგიმ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ ხიდი სარჩაოთ გაეკეთებინათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამისთვის არავინ არ ზრუნავს.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 26 იანვარს. ამ კრებაზე, სხვათაშორის, გაირჩევა საკითხი ჩვენი მგოსნის აკაკის დახმარების შესახებ.

სახელმწიფო საბჭო.

პეტროგრადი. 21 იანვარი. სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, ხელმწიფე იმპერატორის და უმაღლესი მთავარსარდლის სასახლეზი დეპეშების წაკითხვის შემდეგ, რომელსაც მოყვა წევრების საერთო „ურას“ ძახილი, შესდგა არჩევნები საკანონმდებლო განზრახვათა კერძო შემადგენლობის მუდმივი კომისიებისა. შემდეგ საფინანსო კომისიის მოხსენების თანახმათ მიღებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფო კანცელარიის ხარჯთაღრიცხვა. დადგენილ იქნა, დაარსდეს შემთანხმებელი კომისია, იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა რაიმე უთანხმოება მოხდა სათათბიროსა და საბჭოს შორის და ამორჩიენ ათ-ათი კაცი თითო მხრიდან. შემდეგი სხდომა მოწვეულ იქნება განსაკუთრებული უწყებით.

სახელმწიფო სათათბირო.

11 იანვარი. საბიუჯეტო კომისიამ დღის სხდომაზე მიიღო საზღვაო სამინისტროს და სახელმძღვანელო კანტროლის ხარჯთაღრიცხვა. აგრეთვე წინადადება შეიტანეს მიიღონ საკანონდო ხარჯთაღრიცხვაში ის ზედმეტი შემოსავალი, რომელიც არის გამოწვეული ბაჟების აწევით. ამასთან შეტანილ იქნა საკითხი ახალ გადასახადების შემოღების შესახებ, მასთან ორი მილიონი ტელეგრაფის გადასახადი. 260 ათასი მან. მართმადიდებელ სამღვდელოების ჯამაგირების მოსამატებლათ. ორი მილიონი, გადასახადების ისპეკტორებისა ჯამაგირებისათვის, გაიხსნეს კრედიტი უნივერსიტეტის მაწყალებლების ჯამაგირების მოსამატებლათ და სხ.

სანიტართა საუურადღებოთ.

ბალახვანის ქუჩის ლოსაბერიძის შესახვევში საერთოთ დიდი უსუფთაობა სუფევს, მაგრამ ერთ სახლში, რომელიც ეკუთვნის ექიმი ქალის ლოსაბერიძის მეგობრებს ისეთი უსუფთაობაა, რომ მთელი იმ ქუჩის მცხოვრებლები შეწუხებული ვართ.

მთელი ეზო გატიალებული არის და მასთან ეზოში მთელი ბორა სდგას ნაგვისა, რის გამოთ გამვლელმა აუცილებლად ცხვირზე ხელი უნდა მოიტიროს, რომ გულ მუცელი არ აერიოს.

ამასთანავე მომსვლელთაგან თვით ამ სახლში მთელი ღამე მოსვენება არ არის, რადა რა ნაირი ხალხი მიდი-მოდის ვინ იცის...

ყველა ამ ზემოხსენებულ უსუფთაობა ურიგობის გამო მცხოვრებთა თხოვნით იყენენ სანიტარული კომისიის წევრი ილ. ჩაჩანიძე და რამდენჯერმე პოლიციელებიც, მაგრამ აგერ ერთი თვეზე მეტი გადის და ყველა ამ ურიგობა-უსუფთაობას, თუ ემატება თორემ არ აკლდება რა.

საჭიროა მეტი ყურადღება.

ერთი მცხოვრებთაგანი.

თფილისი.

— **ქალის ფურნე.** ინჯენერმ ვ ს. მირზოევმა ქალაქის თვითმართველობას ურჩია, ააშენოს სამუნიციპალო ფურნე, რომელიც მისი აზრით დაჯდება 7,000 მან. და სადაც დღეში 300 ფუთი პური გამოცხვება. მირზოევი, თუ ფურნე მოწყობილ იქნება, კისრულობს, პური გამოაცხოს თავის წყლით, შუშით და მუშით, მხოლოდ ქალაქმა თითო ფუთ გამომცხვარ პურზე 30 კ. უნდა მისცეს მიზზოევს. ამ წინადადებას ქალაქის გამგეობა ამ დღეში განიხილავს.

— **თფ. კომენდანტის განკარგულება.** „კავკაზში“ დაბეჭდილია კომენდატის შემდეგი ბრძანება: „შენიშნულია, რომ ქალაქში თავისუფლათ ლაპარაკობენ ნემეცურ ენაზე. ვცნობ, რომ ჩვენს განაპირა ქვეყანაში ადგილი არ უნდა ქონდეს ნემეცურ ენას. ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ აკრძალულია ნემეცური ლაპარაკი როგორც საზოგადო კრებებზე, ისე ქუჩებში, კანტორებსა და მაღაზიებში. პოლიციამ გულმოდგინეთ უნდა ადევნოს ამას თვალყური. დამნაშავეს გადახდება 3000 მან. ჯარიმა ან, თუ ის ღარიბია, 3 თვის ციხე მიესაჯება“. გენერალ ლეიტენანტი **ვოლსკი.**

— დაჭრილ მეომართათვის მზრუნველმა საქალაქო კომისიამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, რათა დაავადმყოფებული მეომარნი და ვენერიულ სენით დაავადებული პირნი, რომელთა რიცხვი ამ ჟამად 500 დია, გაგზავნილ იქნენ ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ. კომისიის აზრით ადგილიდან დაძვრა ამ ავადმყოფებისა მათს ავადმყოფობას არ გაართულებს, თფილისის ლაზარეთებში განთავსებულ ადგილ 500 საწოლი, სადაც შესაძლებელი იქნება მოთავსება გადამდებ სენით ავადმყოფებისა.

— **ომის გარშემო.** ქალაქების კავშირის კავკასიის ბიუროს ატყობინებენ: 1) მოზდოკში ახახინ შეუდგენ ქალაქების კავშირის ხარჯით ლაზარეთის მოწყობას და 2) პეტროგსკში ამ ჟამად მოწყობილია შემდეგი ლაზარეთები: ქალაქების კავშირის ხარჯით მოწყობილია 300 საწოლით, სადაც ამ ჟამად თავისუფლაია 26 საწოლი, საქალაქო ლაზარეთი 10 საწოლით და სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისა 11 საწოლით. ორს უკანასკნელ ლაზარეთში ყველა საწოლი თავისუფლაია.

— **წყალში დახრჩობა მღვდლისა.** როგორც გვატყობინებენ, ამ დღეებში მტკვარში დაზარჩალა სოფელ ხესის ცხენთ მიმავალი ს. ცეცანის (გორის მაზრა) მღვდელი ლავრენტი ლორია. დამხვრჩალის გვამი ვერ უპოვიათ.

— **გრ. თოიძის გარდაცვალების გამო.** 20 იანვარს კრება ჰქონდა სრულიად რუსეთის ქალაქების კავშირის კავკასიის განყოფილების ბიუროს ა. ი. ხატისოვის თავჯდომარეობით. ბიუროს განიხილა დაჭრილ მეომართათვის მზრუნველ კომისიის წევრის გრ. თოიძის ოჯახის ნივთიერად უზრუნველყოფის საკითხი. ოჯახი შესდგება: ცოლისაგან, ორის მცირე წლოვან შვილისაგან, დაავადებულ დედისაგან და ორის მცირე წლოვან დისაგან. ბიუროს დაადგინა იშუამდგომლოს სრულიად რუსეთის კავშირის წინაშე, რათა განსვენებულ თოიძის ოჯახს მიეცეს უკანასკნელი 10,000 მან. რა შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქის თვითმართველობამ და რამდენი გაიღოს განსვენებულის შვილების აღსაზდელათ სასწავლებელში. ამ საკითხს ქალაქის გამგეობა განიხილავს ქალაქების კავშირისაგან პასუხის მიღების შემდეგ.

— მცხეთის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი ილ. ჯალიაშვილი გუშინ წარუდგა საქართველოს ეგზარხოსს პიტირიმს და წარუდგინა მოხსენება ამ ტაძრის საჭიროებათა შესახებ. მოხსენებული აღნაშნავს, რომ საჭიროა ამ ტაძრის შეკეთება

და იქ გათბობისა და განათების მოწყობა და აგრეთვე შეკეთება პატრიარქების ძველ სასახლისა. მეფეთა ჯალიაშვილის აზრით, კარგი იქნება მტკვრის პირად აგებულ იქნას საელექტრონო სადგური, რომელიც დაჯდება 2,000 მან. რომლითაც განათებულ იქნება ტაძარი. სადგური ხელსაყრელი იქნება, რადგანაც სინათლეს კერძო პირთაც მისცემს.

ომში მოკლული და დაჭრილი ქართველები.

ქ. მოსკოვში.

ბერეშვილი ქიტა შაქროს ძე, სიღნაღის მაზრა, ს. ნუკრიანი, დაჭრილია მსუბუქად. გავარდაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თელავ. მაზ. ს. ოქიო დაჭრილია მარჯვენა ხელის თითში, მსუბუქად. გაჩეჩილაძე ალექს. ნიკოს ძე, ს. წეგა, შორაპნის მაზრა. დაჭრილია მსუბუქად. გოგიაშვილი გიგო აბრამის ძე, ს ცალუნკანი, სიღნაღ. მაზ. დაუჭრელად ავადმყოფია. დავიღოლია ზინობია დავითის ძე, ქუთ. ბუბნის მაზრა. დაჭრილია მსუბუქად. ჯონჯუა ანდრია ბოდოს ძე, ს. რეფო, სენაკის მაზ. დაჭრილია მძიმეთ. ზარნაძე აკაკი ივანეს ძე, ქუთ გუბ. შორაპ. მაზრა, ს. ტელეფო. მოყინული აქვს მარცხენა ფეხი. ზარნაძე იასონ პეტრეს ძე, შორაპნის მაზრა, ს. ტელეფო. მოყინული აქვს ორივე ფეხები. ივანეშვილი ნიკოლ. იაკობის ძე, ს. ვეკალა, თფ. გუბ. და მაზრა. დაჭრილია მარცხენა ხელში მსუბუქად. კვარცხელია ონინსიეი ლეონის ძე, ს. ჯგალი, ზუგდ. მაზ. დაჭრილია მსუბუქად. კალმახიძე სვიმ მაქსიმის ძე, ს. ფასქეა, რ ბედან. დაჭრილია მსუბუქად. კვანტალია იოსებ ივანეს ძე, ნაოლალები, სენაკის მაზრა. დაჭრილია მსუბუქად. ყაზიხაშვილი საბა თამასის ძე, დუშეთის მაზრა, ს. ქერინა. დაჭრილია მსუბუქად. კაჩლავიშვილი დიმიტრი მოსეს ძე, თფ. გუბ. ზ ქუთ. მხარე, ს. ფონი. დაჭრილია მსუბუქად ხელში. კუკვთაშვილი არტემ ესპარიონის ძე, დაჭრილია მსუბუქად. ქარციძე ივლიანე ქვილის ძე, ს. სალმინაო, ქუთ. მაზ. დაჭრილია გვერდში. კაპან ძე ირაკლი ბესარიონის ძე, ქუთ. გუბ შორაპნის მაზრა, ს. ტყემლიანა თავში, მარცხენა მხარში და ბაყაში დაჭრილია მძიმეთ. კუპაიშვილი ნესტორ პეტრეს ძე, ქ. ქუთ. მხარშია დაჭრილი. კურტანიძე ნიკიფ. ნიკოს ძე, ს. ღორგეში, შორაპ. მაზ. დაჭრილია მსუბუქად. კალანდია დ-ვით ჯაფეს ძე, ს. სალხინო, სენაკის მ.ზ. დაჭრილია მსუბუქად. ქუთათელაძე ივ. სვიმონის ძე, ს. ჩუნეში, ქუთ. მაზრა. შრაპნელთან მარჯვენა ფეხშია დაჭრილი. კუპრა თედო კონტრის ძე, ზუგდ. მაზ მ. ს. ჭრქვინჯი, დაჭრილია მსუბუქად. კაბოკია ეგნატე გიორგის ძე, ს. ოქუმი, სოხუმის ოლქი. დაჭრილია მძიმეთ. ქავზაური დავ. დიმიტრის ძე, ს. ახმეტა, თიან. მაზრა. დაჭრილია მძიმეთ. ლალი შვილი ანტ. გრიგოლის ძე, ს. ხიხათა, გორ მაზ დაჭრილია მსუბუქად. ლუბერი ვას. სვიმ. ძე, ს. მუზურეთი დუშ. მ. დაკ მძიმეთ. მთიგლიშვილი ნიკოლ. მოსეს ძე, დუშეთ. მაზ. მსუბუქად. მინაძე მიხეილ ოთომ ს ძე, ბაღდადი, ქუთ. მაზ. მეკრდშია დაჭრილი. მახარობლიძე გაბრიელ კაციას ძე, ს. ლაჯანო, ლეჩხუმიდან. მსუბუქად. მეგელიძე ილარიონ რომაბას ძე, ს. ხრეითი, შორაპ. მაზ. მსუბუქად. მავარიძე კონსტ. დიმ. ძე ს. ოჯოლა, შორაპნ. მაზ. მსუბუქად. მშვენიერიძე პლატონ ლუარსაბის ძე, ქუთ. მაზ. ს. ცხეთში. ხელშია მსუბუქად. მაკარაშვილი ირაკლი სვიმ. ძე, ს. თეჯოლა, შორაპ. მაზ ხელშია შრაპნელთან. მეშველიძე ივანე იოსების ძე, თიან. მაზ. ს. ნინდრიანთხევსი, მსუბუქად. ნატროშვილი იოსებ ზაქარიას ძე, ს. მაზხაანი, სიღნაღის მაზ. მსუბუქად. ნანიშვილი ბესო, ს. ნაგრება, რაჭიდან, მსუბუქად. ნატრაძე აბრამ ოლოლიონის ძე, ს. ბაზალეთი, დუშ. მაზ. მსუბუქად. რიკავა ფილიპე ალექს ძე, ს. კოთხა, ზუგდ. მაზ. მსუბუქად. სისოკიი იოსებ იაკობ. ძე, თელავიდან, მსუბუქად. სოხაძე ნიკოლ. სოლომონის ძე, ს. ცაბი, ქუთ მაზრა. ზაბახიძე კოტე სარდიონის ძე, საჩხერიდან, ქუთ. მ. ფეხში მძიმედ. სიხარულიძე ეპიფანე დიმიტრის ძე, ჩოხატაურიდან, ოზურგ. მ. მსუბუქად. ტიფლიშვილი გიორგი დავითის ძე, ს. გურჯაანი, სიღ. მ. მძიმედ. თეთრაძე გიორგი ანდრიას ძე, ს. ოჯოხი, დუშეთ. მაზ. მსუბუქად თაბაგარი მიხეილ მელიქიზის ძე, ს. შორაპ. მ. მსუბუქად. ტორიაშვილი სტ. ფ. ივანეს ძე, ს. კარდანახი, სიღნ. მ. მსუბუქად. ფიფიაშვილი ალექსანდრე ბასლეს ძე, ს. ილარი, ახალსენაკ. მაზ. მსუბუქად. ფარცახოვი სვ. პეტრეს ძე, ს. უდე, ახალციხ. მ. მარჯვენა კლავიკაში წაბზარი. ბოხაშვილი ილია იაგორის ძე, ს. ჯანგანკარი, დუშ. მ. დაჭრილია მსუბუქად, მხოლოდ ნერვები აქვს დასუსტებული. ხახაშვილი ბასილ ბასილის ძე, ს. ტუტმა, შორაპ. მ. მსუბუქად. ხუბულია მიხა პაველეს ძე, ს. ეპიმენთი, ზუგდ. მ. მსუბუქად. ცქვიტინა მიხა გიგოს ძე, ს. ჯუმათი, მსუბუქად.

ზემო აღნიშნულ დაჭრილების შესახებ ცნობებს მივიღებთ ამ მისამართით: Москва, Лаз. общ. Груз. Поварская ст. Влад. Рамишвили.

სტ. ვლად. რამიშვილი.

სვანეთი.

საშუალო საუკუნეებში პოლიტიკურად გაბატონებული გერმანელები დიდ კრძალვასა და შიშს განიცდიდენ რომის კულტურის წინაშე. ეს კრძალვა და მორჩილების გრძნობა გერმანელ მეფეთა სხვა დასხვა მოქმედებაში გამოიხატა. მეფენი თავის უფლებისა და მდგომარეობის სანაცვლის ძლიერი რომის კულტურისაგან გამოელოდენ. ამის მიზეზი რომის ძლიერ კულტურასა და გერმანელების უკულტურობაში უნდა ვეძიოთ.

ფიზიკური, მოუხეშავი ტლანქი ძალა ყოველთვის ძლეული, მაღალი კულტურისაგან.

თუ რომ გერმანელებმა ძლიერი რომის ცხოვრება მოხარშეს და მოინელეს დღევანდელ პატარა ევროპიის ხალხების შესახებ ეს არ ითქმის. ამ საკითხს მომავალი გასცემს პასუხს, ხოლო დღეს სამინელ კრიზისს განიცდიან ეს ერები. ამ კრიზისის მიზე